სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა / Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	(ქართულად და ინგლისურად): განათლების მაგისტრი/Master of Education, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი/Subject Teacher/Subject Group Teacher of General Education Primary School
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**300 ECTS** ➢ საფაკულტეტო/მიმართულების სავალდებულო დისციპლინების მოდული - 25 კრედიტი, ➢ პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინების სავალდებულო მოდული - 60 კრედიტი, ➢ ქართული ენისა და ლიტერატურის დისციპლინების სავალდებულო მოდული - 65 კრედიტი, ➢ მათემატიკის დისციპლინების სავალდებულო მოდული - 40 კრედიტი, ➢ ბუნებისმეტყველების დისციპლინების სავალდებულო მოდული - 25 კრედიტი, ➢ საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინების სავალდებულო მოდული - 10 კრედიტი, ➢ პედაგოგიური პრაქტიკის სავალდებულო მოდული - 30 კრედიტი, V, VII, VIII, IX სემესტრები (შესაბამისად - 5, 5, 5, 15) ➢ სამაგისტრო ნაშრომის სავალდებულო მოდული - 30 კრედიტი, X სემესტრი ➢ არჩევითი დისციპლინების მოდული - 15 კრედიტი VII, VIII, IX სემესტრები ➢ სტუდენტმა სავალდებულო წესით ინტეგრირებულად უნდა გაიაროს I –VI კლასების ქართული ენის, მათემატიკისა და ბუნებისმცოდნეობის საგნები, შესაბამისად, კურსდამთავრებულს ექნება სამი საგნის სწავლების კომპეტენციები I –VI კლასებისთვის.

	➢ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გაწერილია მე-10 სემესტრში, 30 კრედიტის ოდენობით. **პროგრამის სწავლის შედეგები დადასტურდება:** ➢ შემაჯამებელი კრებსითი გამოცდით პედაგოგიკურ დისციპლინებში; ➢ შემაჯამებელი კრებსითი გამოცდით საგანსა და საგნის სწავლების მეთოდიკაში; ➢ სამაგისტრო ნაშრომის დაცვით.
სწავლების ენა	საგანმანათლოებლო პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**ზაქარია ქიტიაშვილი,** თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი. პროგრამის კოორდინატორი: **ქეთევან ჭკუასელი,** თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე; პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს თსუ სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი

	საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საგანმანათლებლო **პროგრამის მიზანია** თანამედროვე ეროვნული თუ საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი დაწყებითი განათლების საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადება, რომელიც ფლობს I - VI კლასების ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ, ზოგადპედაგოგიკურ და მეთოდურ კომპეტენციებს. პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში, კურსდამთავრებულებმა უნდა: ➢ მიიღონ დაწყებითი საფეხურის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებების შესახებ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა და გამოიმუშაონ უნარ-ჩვევა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობათა თუ მოვალეობათა შესასრულებლად; ➢ მიიღონ აკადემიური, ობიექტური და არადისკრიმინაციული ცოდნა დაწყებითი საფეხურის ეროვნულო სასწავლო გეგმაში გაწერილ საგნობრივ დისციპლინებში, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით; ➢ შეძლონ პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური ცოდნის საგნობრივ ცოდნასთან ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების პროცესში ეფექტიანი გამოყენების გზით; ➢ შეძლონ საკუთარი სასკოლო პრაქტიკის რეფლექსიისა და მოსწავლის აკადემიური და პიროვნული მიღწევების ანალიზის საფუძველზე რაოდენობრივ და თვისებრივ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ეთიკის ნორმების დაცვით;

	➢ პროგრამა უზრუნველყოფს მომავალი მასწავლებლის მსოფლმხედველობის ფორმირებას - იყვნენ თვითკრიტიკულნი, სიახლის მიმღებნი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისმცემელნი და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულნი.
სწავლის შედეგები	
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური თეორიების კონტექსტში იაზრებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასებისას თითოეული მოსწავლის უნიკალურობისა და მათი სასწავლო-სააღმზრდელო საჭიროებების მნიშვნელობას; მსჯელობს მასწავლებლის პროფესიის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებებისა და პროფესიული განვითარების ვალდებულებების შესახებ; განსაზღვრავს პოზიტიური გარემოს ფორმირების ძირითად პრინციპებს მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მსჯელობს კლასის მართვის, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მშობელთა ჩართულობისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებზე მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური ცვლადების გათვალისწინებით; განსაზღვრავს ქართული ენის ფონეტიკის, გრამატიკისა და მართლმეტყველების საფუძვლებს; აღწერს და განმარტავს ლიტერატურის ძირითად პერიოდებთან დაკავშირებულ საკვანძო ტენდენციებსა თუ ლიტერატურის თეორიულ საკითხებს. იცის და აცნობიერებს, რომ მათემატიკა, ზოგადსაკაცობრიო კულტურის შემადგენელი ნაწილია. იცის თვლის პრინციპები, არითმეტიკული მოქმედებები რიცხვებზე და მათი თვისებები. ამოიცნობს კანონზომიერებებს და სიდიდეებს შორის დამოკიდებულებებს. შეუძლია გეომეტრიული ობიექტების აღწერა და დემონსტრირება. აწესრიგებს მონაცემებს და იყენებს ალბათურ-სტატისტიკური ხერხებს. საბუნებისმეტყველო ცნებების, კანონზომიერებების სწორად გაგების, ანალიზისა და მიღებული ცოდნის სინთეზის საფუძველზე შეუძლია საბუნებისმეტყველო დარგების ურთიერთდაკავშირება

	ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და ასტრონომიის ელემენტების გათვალისწინებით. განმარტავს მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების მნიშვნელობას გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში. განმარტავს პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური თეორიების კავშირის აუცილებლობას პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელების პროცესში. სასწავლო პროცესის დაგეგმვის და პრაქტიკის აღწერისას ჩამოთვლის და ხსნის საგაკვეთილო ფაზებსა თუ ტიპებს. განმარტავს სასწავლო რესურსების შექმნისას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენის აუცილებლობას სასწავლო ამოცანების გათვალისწინებით. საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკისა თუ ემპირიული კვლევის მიზნებისთვის ხსნის თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების მნიშვნელობას. პედაგოგიური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებს ეთიკის ნორმებს, პერსონალური ინფორმაციის დაცვის პრინციპებს.
ბ) უნარები	თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურების, ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური სფეროების გათვალისწინებით ქმნის მოსწავლეებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ სასწავლო გარემოს. კრიტიკულად აანალიზებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმართვისას კონფლიქტური სიტუაციების მიზეზებს და ზრუნავს ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაზე. მოკლე თუ გრძელვადიანი სასწავლო გეგმების შემუშავების მიზნით, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით გეგმავს სასწავლო პროცესს და მიზნობრივად იყენებს პედაგოგიურ პრაქტიკაში დიფერენცირებული სწავლების პრინციპებსა თუ რემედიაციული სტრატეგიებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერით. საგაკვეთილო პროცესის წარმართვისას შეიმუშავებს სასწავლო მიზნით განსაზღვრულ მრავალფეროვან, ობიექტურ, ვალიდურ და სანდო შეფასების სისტემას. სწავლების პროცესში აანალიზებს და ეფექტიანად იყენებს ქართული ენის ფონეტიკის, გრამატიკისა და

	მართლმეტყველების ცოდნას; სხვადასხვა ჟანრისა და ფორმატის მხატვრული თუ საინფორმაციო ტექსტების საფუძველზე მსჯელობს წიგნიერების კომპეტენციის განვითარებისათვის მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საგნობრივ თუ მეთოდურ საკითხებზე. სწავლების პროცესში სტუდენტს უვითარდება მათემატიკური ტერმინოლოგიის, აღნიშვნებისა და სიმბოლოების გამოყენების, ლოგიკური აზროვნების, ინფორმაციის წარმოდგენის ხერხების გამოყენების, ინფორმაციის ურთიერთდაკავშირების, მასზე მსჯელობის, მონაცემთა შერჩევის, მოპოვებისა და ინტერპრეტირების უნარი. შეუძლია მათემატიკური კანონზომიერებების თეორიული ასპექტების პედაგოგიურ პრაქტიკაში ტრანსფერი. სწავლების პროცესში სტუდენტს უვითარდება: ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების წარმოჩენის უნარი; ორგანიზმთა სასიცოცხლო ნიშნების, ასევე ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ერთიანობის, მის დაცვასა და მდგრადობაზე პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე სამყაროს ერთიანობის კრიტიკული გააზრების უნარი; სწავლების პროცესში სტუდენტს ჩამოუყალიბდება ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, ასტრონომიის ცნებების, კანონზომიერებების სწორად გაგების, ანალიზის, მიღებული ინფორმაციის სინთეზის, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების, განზოგადების, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისა და ამ საფუძველზე, მიღებული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში იმპლემენტაციის უნარი. პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელებისას ეფექტიანად აკავშირებს პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ ცოდნებს საგნის სწავლებასთან. საგავეთილო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას მკაფიოდ მიჯნავს საგაკვეთილო ფაზებს, სასწავლო მიზნის შესაბამისად ქმნის და იყენებს სასწავლო რესურსებს მოსწავლეთა ინდივიდუალური

	თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით საკუთარი პედაგოგიური თუ ემპირიული კვლევის მიზნებისთვის შეუძლია თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი და სისტემატიზაცია მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებისა და საკუთარი პროფესიული განვითარების მიზნებისთვის. ეთიკის ნორმებისა თუ პერსონალური ინფორმაციის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს კვლევას.
გ)პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	შეუძლია საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის თვითრეფლექსიის, კოლეგების, დირექციის, მოსწავლეებისა და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე უწყვეტი პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვა შესაბამის დისციპლინებში არსებული ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შესწავლის გზით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლების ზეპირსიტყვიერი და წიგნზე მუშობის, უშუალო დაკვირვებითი მეთოდები, ჯგუფური და პრაქტიკული მუშაობა, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ანალიზის და სინთეზის, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, როლური და სიტუაციური თამაშები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის შესწავლა, ელექტრონული რესურსით სწავლება. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.
შეფასების სისტემა	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და

	დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

	(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
დასაქმების სფეროები	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის (I - VI კლასების) საგნების - ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, I - IV კლასების საგნობრივი ჯგუფის - ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - მასწავლებელი.

	(პროფესიით მუშაობის დაწყება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად). კურსდამთავრებულებს ასევე შეუძლიათ დასაქმდნენ განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სახელმწიფო დაფინანსება, / ერთ სტუდენტზე 2250 ლარის გათვლით/
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 52 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 18 (3 პროფესორი, 10 - ასოცირებული პროფესორი, 5 - ასისტენტ პროფესორი), ხოლო 34 – მოწვეული, აქედან, 7 დოქტორანტი, 15 ზოგადსაგანმანამთლებლო სკოლის მასწავლებელი. პერსონალის CV-ებისათვის იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი. პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში, ჭავჭავაძის გამზ. 11. აღსანიშნავია, რომ კორპუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში მყოფი შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურბაზას, როგორიცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. პროგრამის მიზნებს ემსახურება უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა,

	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამა დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ. ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს თსუ-ს ბიუჯეტის ნაწილს. გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე და ა.შ.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური და საგნობრივ – მეთოდიკური ციკლის დისციპლინების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა. პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნის შინაარსი შესაბამისობაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მასწავლებლის პროფესიულ და საგნობრივ სტანდარტებთან, უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან (მასწავლებელის განათლება). პროგრამა გაწერილია 10 სემესტრად, წარმოდგენილია მოდულების სახით: ➢ საფაკულტეტო/მიმართულების სავალდებულო დისციპლინების მოდული - 25 კრედიტი, ➢ პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური დისციპლინების სავალდებულო მოდული - 60 კრედიტი,

	➢ ქართული ენისა და ლიტერატურის დისციპლინების სავალდებულო მოდული - 65 კრედიტი, ➢ მათემატიკის დისციპლინების სავალდებულო მოდული - 40 კრედიტი, ➢ ბუნებისმეტყველების დისციპლინების სავალდებულო მოდული - 25 კრედიტი, ➢ საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინების სავალდებულო მოდული - 10 კრედიტი, ➢ პედაგოგიური პრაქტიკის სავალდებულო მოდული - 30 კრედიტი, V, VII, VIII, IX სემესტრები ➢ სამაგისტრო ნაშრომის სავალდებულო მოდული - 30 კრედიტი, X სემესტრი ➢ არჩევითი დისციპლინების მოდული - 15 კრედიტი VIII, IX სემესტრები ➢ სტუდენტმა სავალდებულო წესით ინტეგრირებულად უნდა გაიაროს I –VI კლასების ქართული ენის, მათემატიკისა და ბუნებისმცოდნეობის საგნები, შესაბამისად, კურსდამთავრებულს ექნება სამი საგნის სწავლების კომპეტენციები I –VI კლასებისთვის. ➢ პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომის შესრულება გაწერილია მე-10 სემესტრეი, 30 კრედიტის ოდენობით. **პროგრამის სწავლის შედეგები დადასტურდება:** ➢ შემაჯამებელი კრებსითი გამოცდით პედაგოგიკურ დისციპლინებში; ➢ შემაჯამებელი კრებსითი გამოცდით საგანსა და საგნის სწავლების მეთოდიკაში; ➢ პრაქტიკის დაცვით; ➢ სამაგისტრო ნაშრომის დაცვით. პროგრამაში პედაგოგიურ პრაქტიკას ეთმობა 30 სავალდებულო კრედიტი, რომელთაგან 5 კრედიტი ეთმობა პასიურ პრაქტიკას, 5-5 კრედიტი ეთმობა მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მოდულების შესაბამის პედაგოგიურ პრაქტიკას, 10 კრედიტი მშობლიური ენისა და ლიტერატურის მოდულის შესაბამის პედაგოგიურ პრაქტიკას, დარჩენილ 5 კრედიტს სტუდენტი გამოიყენებს საკუთარი არჩევანის მიხედვით პროგრამის რომელიმე მოდულის, ან აღმზრდელობითი მუშაობის

	კომპონენტის ფარგლებში. 10. პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა - პროგრამა განხორციელდება ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტზე, რომელიც განთავსებულია თსუ-ს მე-3 კორპუსში, ჭავჭავაძის გამზ.# 11. აღსანიშნავია, რომ კორპუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კაპიტალურად გარემონტდა 2016 წელს. განახლების შედეგად ფაკულტეტის სარგებლობაში მყოფი შენობა და მიმდებარე ტერიტორია სრულად აკმაყოფილებს სწავლებისა და კვლევის წარმართვისთვის საჭირო მოთხოვნებს, ფლობს აღნიშნული პროგრამის წარმატებით რეალიზებისათვის აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, როგორიცაა, სასწავლო და კვლევითი ფართი, ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამული უზრუნველყოფა. პროგრამის მიზნებს ემსახურება თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს-ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან წვდომა უწყვეტ რეჟიმში, მათ შორის, საერთაშრისო სამეცნიერო ელექტრონულ რესურსებთან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შემდეგ ელექტრონულ რესურსებს: Jstor, Ebsco, Erich, Scopus, Thomson.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
სწავლების საფეხური: VI
კრედიტების რაოდენობა: 300
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: ზაქარია ქიტიაშილი, ქეთევან ჭკუასელი
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

			სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა	სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი										ლექტორი / ლექტორები
						I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

				ლექცია	სემინარი	პრაქტიკუმი														
საფაკულტეტო/მიმართულების დისციპლინები - 25(ECTS)																				
1		შესავალი ფილოსოფიაში	5	2	1				წინაპირობის გარეშე	+										თამარ გეგეშიძე
2		შესავალი პედაგოგიკაში	5	2	1				წინაპირობის გარეშე	+										ქეთევან ჭკუასელი
3		ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის	5	1		2			წინაპირობის გარეშე					+						ზაქარია ქიტიაშვილი ანა არველაძე
4		უცხო ენა	10 5/5	2	1					+	+									ენების ცენტრის მასწავლებელი
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული - 215(ECTS)																				
პედაგოგიური სავალდებულო დისციპლინები - 60 კრედიტი (ECTS)																				
5		პედაგოგიკა 1	5	2	2				წინაპირობის გარეშე		+									ქეთევან ჭკუასელი თინათინ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

																				დოლიძე
6		პედაგოგიკა 2/პრაქტიკით	5	2	2				პედაგოგიკა 1			+								ქეთევან ჭკუასელი, თინათინ დოლიძე
7		განათლების ისტორია და თანამედროვეობა	5	2	2				წინაპირობის გარეშე				+							ქეთევან ჭკუასელი
8		საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის პედაგოგიკურ-სამართლებრივი საფუძვლები	5	1	2				წინაპირობის გარეშე		+									ქეთევან ჭკუასელი ზაქარია ქიტიაშვილი მარინე გოგნელაშვილი
9		პედაგოგიური კვლევის საფუძვლები 1	5	2		2			პედაგოგიკა 2/პრაქტიკით								+			რუსუდან სანაძე სოფიო დოლიძე
10		პედაგოგიური კვლევის საფუძვლები 2	5	2		2			პედაგოგიური კვლევის საფუძვლები 1									+		რუსუდან სანაძე სოფიო დოლიძე
11		ზოგადი ფსიქოლოგია	5	2		1			წინაპირობის გარეშე			+								ლადო გამსახურდია

12		სწავლის, სწავლებისა და ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიური საფუძვლები	2	1	1				ზოგადი ფსიქოლოგია						+					თეონა ლოდია
13		ინკლუზიური განათლება	5	2	1				ზოგადი ფსიქოლოგია				+							მაია შაშვიაშვილი
14		მოსწავლის ქცევის მართვის პრაქტიკული კურსი	2	1		1			ინკლუზიური განათლება							+				მაია შაშვიაშვილი
15		სასკოლო გარემო და მოზარდის ჯანმრთელობა	5	1	2				პედაგოგიკა 2/პრაქტიკით							+				ეფემია ხარაძე ქეთევან ჭკუასელი
16		სამოქალაქო განათლება	3	1	1				წინაპირობის გარეშე							+				გიორგი სოფრომაძე გიორგი პაპუაშვილი
17		ინტერკულტურული განათლება და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები	2	1	1				წინაპირობის გარეშე								+	+		ნათია ნაცვლიშვილი
18		საინფორმაციო ტექნოლოგიები	3			3			წინაპირობის გარეშე								+			რუსუდან სანაძე ანა ტუღუში
19		სასწავლო რესურსების გამოყენება დაწყებით კლასებში	3	1		2			პედაგოგიკა 2/პრაქტიკით						+					მარიამ ტატიშვილი
ქართული ენისა და ლიტერატურის დისციპლინები - 65კრედიტი (ECTS) I-VI კლასები																				

20		ქართული ენის გრამატიკა 1	5	2		2			წინაპირობის გარეშე	+										ზურაბ ბარათაშვილი ნინო ყოჩიაშვილი
21		ქართული ენის გრამატიკა 2	5	2		2			ქართული ენის გრამატიკა 1		+									ზურაბ ბარათაშვილი ნინო ყოჩიაშვილი
22		ძველი ქართული ლიტერატურა	5	1	2				წინაპირობის გარეშე		+									ია გრიგალაშვილი
23		ახალი ქართული ლიტერატურა	5	2	1				წინაპირობის გარეშე			+								ლევან ბებურიშვილი
24		უახლესი ქართული ლიტერატურა	5	2	1				ახალი ქართული ლიტერატურა				+							ნინო ნაზღაიძე
25		საყმაწვილო ლიტერატურა	5	1		2			წინაპირობის გარეშე						+					ზაქარია ქიტიაშვილი თეონა ბექიშვილი
26		ფოლკლორისა და მითოლოგიის საფუძვლები	5	1		2			წინაპირობის გარეშე								+			ზაქარია ქიტიაშვილი თეონა ბექიშვილი

27		მეტყველების კულტურის საკითხები	5	1		2			წინაპირობის გარეშე							+				ზაქარია ქიტიაშვილი
28		ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა/პრაქტიკით	10	2		3			ქართული ენის გრამატიკა 2, უახლესი ქართული ლიტერატურა						+					ზაქარია ქიტიაშვილი
29		კითხვის თანამედროვე სტრატეგიები	5	2		2			პედაგოგიკა 2/პრაქტიკით					+						ნათია ნაცვლიშვილი ზაქარია ქიტიაშვილი
30		ფონეტიკისა და მართლმეტყველების საფუძვლები	5	1		2			წინაპირობის გარეშე	+										ზაქარია ქიტიაშვილი ანა არველაძე
31		ქართული ენის პრაქტიკული კურსი	5	1		2			ქართული ენის გრამატიკა 2							+				ზურაბ ბარათაშვილი ქეთევან მირზიკაშვილი
მათემატიკის დისციპლინები - 40 კრედიტი (ECTS) I-VI კლასები																				
32		რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები1	5	1		2			წინაპირობის გარეშე	+										დავით წამალაშვილი ეკატერინე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

																				ჩიხლაძე
33		რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 2	5	1		2			რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 1		+									დავით წამალაშვილი ეკატერინე ჩიხლაძე
34		რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 3	5	1		2			რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 2			+								დავით წამალაშვილი ლამარა ქურჩიშვილი
35		რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 4	3			2			რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 3				+							დავით წამალაშვილი ლამარა ქურჩიშვილი
36		ლოგიკა და კრიტიკული აზროვნება	2			2			წინაპირობის გარეშე				+							დავით წამალაშვილი ლამარა ქურჩიშვილი
37		გეომეტრია და სივრცისაღქმა 1	5	1		2			რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 3					+						დავით წამალაშვილი

38		გეომეტრია და სივრცისაღქმა 2	5	1		2			გეომეტრია და სივრცის აღქმა1						+					დავით წამალაშვილი
39		მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა/პრაქტიკით	5	1		2			რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 3						+					დავით წამალაშვილი
40		ამოცანათა ამოხსნის სწავლების საკითხები (I-VI კლასების მათემატიკის მასწავლებლებისთვის)	5	2		1			გეომეტრია და სივრცის აღქმა - 2							+				დავით წამალაშვილი ლამარა ქურჩიშვილი
ბუნებისმეტყველების დისციპლინები - 25 კრედიტი I-VI კლასები																				
41		ბუნებისმცოდნეობა 1	5	2		1			წინაპირობის გარეშე			+								ეფემია ხარაძე ნანა ბარნაველი
42		ბუნებისმცოდნეობა 2	5	2		1			წინაპირობის გარეშე			+								ეფემია ხარაძე ნანა ბარნაველი
43		ბუნებისმცოდნეობა 3	5	1		2			ბუნებისმცოდნეობა 2				+							ეფემია ხარაძე ნანა ბარნაველი

44		ბუნებისმცოდნეობა 4	5	1		2			ბუნებისმცოდნეობა 3					+						ეფემია ხარაძე ნანა ბარნაველი
45		ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკა/პრაქტიკით	5	1		2			ბუნებისმცოდნეობა 4					+						ეფემია ხარაძე
საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინები - 10 კრედიტი (ECTS) I-IV კლასები																				
46		გეოგრაფიის ზოგადი კურსი	2	1	1				წინაპირობის გარეშე				+							ლია კვერენჩხილაძე ვალერი ქამხაძე
47		საქართველოს გეოგრაფია	3	2		1			წინაპირობის გარეშე				+							ლია კვერენჩხილაძე ვალერი ქამხაძე
48		ისტორიის ზოგადი კურსი	2	1		1			წინაპირობის გარეშე								+			გიორგი პაპუაშვილი ელისაბედ ბუსხრიკიძე
49		საქართველოს ისტორია	3	2		1			წინაპირობის გარეშე								+			გიორგი პაპუაშვილი ელისაბედ ბუსხრიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩევითი საგნები (ECTS)/; VIII- IX სემესტრი -15 კრედიტი;																					
50		სახალისო მათემატიკა	5	1		2			გეომეტრია და სივრცის აღქმა 1									+			დავით წამალაშვილი ლამარა ქურჩიშვილი
51		პრეკალკულუსი	5	1		2			რიცხვები, ალგებრა და სტატისტიკის საწყისები - 4								+				დავით წამალაშვილი
52		პედაგოგის პროფესიული ხელოვნების საკითხები	3	1		2			პედაგოგიკა 2/პრაქტიკით									+			ქეთევან ჭკუასელი
53		რელიგიის ისტორია	3	1	1				წინაპირობის გარეშე									+			გიორგი პაპუაშვილი
54		განათლება და ბავშვთა უფლებები	3	1		2											+				ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშილი

55		სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და პრაქტიკა	2	1	1				პედაგოგიკა2/ პრაქტიკით								+	+		ზაქარია ქიტიაშვილი მარინე გოგნელაშვილი ცირა ნიკოლაშვილი
56		სახვითი ხელოვნება - პრაქტიკა და თეორია	5	1	2				წინაპირობის გარეშე								+	+		ლევან სილაგაძე
57		მუსიკა და სამყარო	5	1	2				წინაპირობის გარეშე							+	+	+		ლევან მიზანდარი
58		მედიაწიგნიერება	5	1		1			წინაპირობის გარეშე								+	+		გიორგი ჯოლოგუა
59		ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები ახალ სასწავლო გარემოში	5	1		2			წინაპირობის გარეშე							+	+	+		იზაბელა პეტრიაშვილი
60		კულტურის საკითხები დაწყებით კლასელთათვის	5	1	2				წინაპირობის გარეშე								+	+		ირინე საგანელიძე
პედაგოგიური პრაქტიკა - 30 კრედიტი																				
61		**პედაგოგიური პრაქტიკა** 5(ECTS): **პასიური**							პედაგოგიკა 2/პრაქტიკით					+						

62		პედაგოგიური პრაქტიკა 5(ECTS) : ბუნებისმცოდნეობა.							პედაგოგიკა 2/პრაქტიკით							+		+		
63		პედაგოგიური პრაქტიკა 5 (ECTS) : ქართული [1]							პედაგოგიკა 2/პრაქტიკით								+	+		
64		პედაგოგიური პრაქტიკა 5(ECTS) : მათემატიკა							პედაგოგიკა 2/პრაქტიკით								+	+		
სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)																				
65		30(ECTS)							----------										+	

[1] მე-8 და მე-9 სემესტრებში სავალდებულოდ სტუდენტი ირჩევს პედაგოგიური პრაქტიკა 5 (ECTS) : ქართული, მე-9 სემესტრში კი შეუძლია აირჩიოს დამატებით პედაგოგიური პრაქტიკა 5 (ECTS) : ქართული.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი